მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.17.10.012.158**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882022237623 - 07/04/2022 18:29:53

მომზადების თარიღი
08/04/2022 12:58:18

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ისანი		
01	**17**	**10**	**012/158**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა წულუკიძე , N 15

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1175.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.17.10.012.060; 01.17.10.012.148; 01.17.10.012.149;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1,N2,N3

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013340389 , თარიღი 19/07/2013 11:46:09
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/07/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N130730690 , დამოწმების თარიღი:19/07/2013 ,ნოტარიუსი ლ. ბაგრატიონი
- საკუთრების უფლების მოწმობა N259 , დამოწმების თარიღი:30/09/2020 , თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია
- საკუთრების უფლების მოწმობა N315 , დამოწმების თარიღი:11/11/2020 , თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია

მესაკუთრეები:
ოქსანა სტეფანოვი,P/N: 01011091367

მესაკუთრე:
ოქსანა სტეფანოვი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021226988 თარიღი 26/03/2021 10:13:20	**აღნაგობის უფლების მქონე პირი: შპს "პრაიმ ინვესტ ჯგუფი"**406291212; საგანი:1175 კვ.მ. მიწის ნაკვეთი; მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არ აქვს უფლება მიწის ნაკვეთი დატვირთოს იპოთეკით ან სხვა ვალდებულებით მოაღნაგის სანოტარო წესით დამოწმებული თანხმობის გარეშე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების პირობით;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 26/03/2021	**აღნაგობის ძირითადი ხელშეკრულება და უძრავი ქონების გაცვლის წინარე ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი26/03/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021769653 თარიღი 10/09/2021 13:25:58	საგანი: 56 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სერვიტუტის უფლება; **წერილი, რეესტრის ნომერი N16-01211963252, დამოწმების თარიღი15/07/2021, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 23/09/2021	

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882021114230 თარიღი 18/02/2021 09:37:46	**მომავალი მესაკუთრე: შპს "პრაიმ ინვესტ ჯგუფი"**406291212; საგანი:მიწის ნაკვეთი 842.00 კვ.მ.და შენობა N1,N2,N3 ; ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების პირობით; მომავალი მესაკუთრის თანხმობის გარეშე მესაკუთრეს ეკრძალება უძრავი ნივთის გასხვისება (გაყიდვა,გაცვლა,გაჩუქება და სხვა), უფლებრივად დატვირთვა (აღნაგობა,იპოთეკა,გირავნობა,იჯარა და სხვა);
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/02/2021	**უძრავი ქონებების გაცვლის წინარე ხელშეკრულება, რეესტრის ნომერი N200822877, დამოწმების თარიღი13/10/2020, ნოტარიუსი ირმა გოგია**
განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882022196530 თარიღი 23/03/2022 17:26:20	**პირველი მხარე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია** საგანი:დაზუსტებული ფართობი: 1175.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1,N2,N3; მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.;
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/04/2022	**ბრძანება Nბ01.01220521, დამოწმების თარიღი21/02/2022, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია** **ბრძანება:N ბ01.01211243, დამოწმების თარიღი04/05/2021, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია**

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

Print

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე № 0

ID 548472779

გადამხდელის დასახელება	შპს პრაიმ ინვესტ ჯგუფი
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	406291212
ანგარიშის ნომერი	GE88PC0133600100068970
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22

თანხა ციფრებით
105188.85 **GEL**

თანხა სიტყვებით
ას ხუთი ათას ას ოთხმოცდარვა ლარი 85 თეთრი

საბიუჯეტო / სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა

დასახელება	
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	

სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო)

☐ სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 10:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე

მიმღების დასახელება	შპს სიემსი
ანგარიში / სახაზინო კოდი	GE09TB7719636020100007
მიმღების ბანკი / ხაზინა	სს "თიბისი ბანკი" კოდი TBCBGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი
24.08.2021 10:34

ხელმოწერა

- - - - - - - - - - - - - - - -

გადახდის დანიშნულება	ქ. თბილისის მუნ. საკრებ. #323 განკარგულების საფუძველზე მიწ. ნაკ. ს/კ 01.17.10.012.158 კ2 კოეფიციენტის დამატების ღირებულების ნაწილი
დამატებითი ინფორმაცია	

ხელმომწერები

- - - - - - - - - - - - - - - -

- - - - - - - - - - - - - - - -

ბეჭდის ადგილი

პროკრედიტ ბანკი
PROCREDIT BANK
ელექტრონული მომსახურების ცენტრი
ELECTRONIC SERVICE CENTER

თარიღი: **24.08.2021**

Print

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე № 0

ID 551386739

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გადამხდელის დასახელება	შპს პრაიმ ინვესტ ჯგუფი
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	406291212
ანგარიშის ნომერი	GE88PC0133600100068970
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22

თანხა ციფრებით
109791.50 **GEL**

თანხა სიტყვებით
ას ცხრა ათას შვიდას ოთხმოცდათერთმეტი ლარი 50 თეთრი

საბიუჯეტო / სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა

დასახელება

პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი

☐ სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო)

☐ სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 10:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე

მიმღების დასახელება	შპს სიემსი
ანგარიში / სახაზინო კოდი	GE09TB7719636020100007
მიმღების ბანკი / ხაზინა	სს "თიბისი ბანკი" კოდი TBCBGE22

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი
20.10.2021 11:32

ხელმოწერა

- - - - - - - - - - - - - - - -

გადახდის დანიშნულება	ქ. თბილისის მუნ. საკრებ. #323 განკარგულების საფუძველზე მიწ. ნაკ. ს/კ 01.17.10.012.158 კ2 კოეფიციენტის დამატების ღირებულების ნაწილი
დამატებითი ინფორმაცია	

ხელმომწერები

- - - - - - - - - - - - - - - -

- - - - - - - - - - - - - - - -

ბეჭდის ადგილი

პროკრედიტ ბანკი
PROCREDIT BANK
ელექტრონული მომსახურების ცენტრი
ELECTRONIC SERVICE CENTER

თარიღი: **20.10.2021**

Print

საგადახდო დავალება ეროვნული ვალუტის გადარიცხვაზე № 0

ID 549981919

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

გადამხდელის დასახელება	შპს პრაიმ ინვესტ ჯგუფი
პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი	406291212
ანგარიშის ნომერი	GE88PC0133600100068970
გადამხდელის ბანკი	სს "პროკრედიტ ბანკი" კოდი MIBGGE22

თანხა ციფრებით
109070.50 **GEL**

თანხა სიტყვებით
ას ცხრა ათას სამოცდაათი ლარი 50 თეთრი

საბიუჯეტო / სსიპ-ის სასარგებლოდ გადახდა

დასახელება

პირადი # / საიდენტიფიკაციო კოდი

სწრაფი გადარიცხვა (დამატებითი საკომისიო)

☐ სწრაფი რეჟიმით გადარიცხვა სრულდება მხოლოდ 10:00 სთ-დან 17:30 სთ-მდე

მიმღების დასახელება	შპს სიემსი
ანგარიში / სახაზინო კოდი	GE09TB7719636020100007
მიმღების ბანკი / ხაზინა	სს "თიბისი ბანკი" კოდი TBCBGE22

ბანკის აღნიშვნები

გადახდის დანიშნულება დამატებითი ინფორმაცია	ქ. თბილისის მუნ. საკრებ. #323 განკარგულების საფუძველზე მიწ. ნაკ. ს/კ 01.17.10.012.158 კ2 კოეფიციენტის დამატების ღირებულების ნაწილი

ბანკში შემოსვლის თარიღი
22.09.2021 14:40

ხელმოწერა

- - - - - - - - - - - - - - - -

ხელმომწერები

- - - - - - - - - - - - - - - -

- - - - - - - - - - - - - - - -

ბეჭდის ადგილი

პროკრედიტ ბანკი
PROCREDIT BANK
ელექტრონული მომსახურების ცენტრი
ELECTRONIC SERVICE CENTER

თარიღი: **22.09.2021**

ბრძანება:**ბ01.01220521**
თარიღი:**21/02/2022**
პინი:**1868**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

,,ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.158) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 4 მაისის Nბ01.01211243 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტიცებული წესების 16^1, 16^2 და 22-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N012201566-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.158) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 4 მაისის Nბ01.01211243:

ა) ბრძანების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.158) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%), როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე.“

ბ) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.158) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (90%), როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის განთავსების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.“

გ) ბრძანებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1, 1^2 , 1^3 და 1^4 პუნქტები:

„1^1. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-

ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში“.

„1^2. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 4%-ისა (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით) და 16^1 მუხლით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიების ჯამური ოდენობის შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 50 კვ.მ.-სა.

,,1^3. ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის ოდენობად განიხილება სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დადგენილსა და მოთხოვნილ ფუნქციურ პროცენტულობას შორის არსებული სხვაობა.‘‘

„1^4. დაინტერესებულ პირს დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით წარუდგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება ამ ბრძანების 1^1 პუნქტში მითითებული უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე.‘‘

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N012201566-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01220521**
თარიღი: **21/02/2022**
პინი: **6749**
გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	012201566-67
განცხადების თარიღი:	15/01/2022
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილება /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.17.10.012.158
მისამართი :	ქალაქი თბილისი , ქუჩა წულუკიძე , N 15
მესაკუთრეები :	ოქსანა სტეფანოვი,
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	გივი კახაბრიშვილი
პირადი ნომერი :	01024065351
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N 14, ბინა 21
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ზურაბ მალაზონია
ტერიტორიის გამოყენების სახეობა და არსებული ან მინიჭებული პარამეტრები :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	მრავალფუნქციური შენობა (საცხოვრებელი 90% კომერციული 10%)
კ - 1 :	0,5
კ - 2 :	5,0
კ - 3 :	0,3

მოთხოვნილი განაშენიანების კოეფიციენტი - კ - 1 და ინტენსივობის კოეფიციენტი - კ - 2 :	
კ - 1 :	0,5
კ - 2 :	5.0
მოთხოვნის შინაარსი :	
მოთხოვნის ტექსტი :	წინამდებარე განცხადებით მოგმართავთ თხოვნით შეიტანოთ ცვლილება სპეციალური ზონალური შეთანხმებაში და ნაცვლად 60% საცხოვრებელისა და 40% კომერციულისა დაგვიფიქსიროთ 90% საცხოვრებელი და 10 % კომერციული, აქვე გაცნობებთ, რომ მზად ვართ კანონმებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტს გადავცეთ 4% შეცვლილი ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად (როგორც ზონით განსაზღვრულ პარამეტრზე (3.5) ასევე მომატებული კოეფიციენტის (5.0) გათვალისწინებით).
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს/კ 01.17.10.012.158) მდებარეობს ქ.თბილისში, წულუკიძის ქუჩა #15-ში. მესაკუთრე - ოქსანა სტეფანოვი (პ/ნ 01011091367) მიწის ნაკვეთის ფართობი - 1175 კვ.მ მიწის ნაკვეთს აღმოსავლეთით ემიჯნება პ.ხვედელიძის ქუჩა, დასავლეთით კი ძეგლევის ქუჩა. ჩრდილოეთით და სამხრეთით კი, ემიჯნება კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთები. საპროექტო ტერიტორიის გარშემო გვხვდება განაშენიანება, კერძო და მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლები, კომერციული შენობა ნაგებობები და ა.შ. საპროექტო ტერიტორიზე როგორც დღეს მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გენგეგმის (#39-18), ისე 2014-2018 წლებში მოქმედი გენერალური გეგმის (#20-105) მიხედვით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). საპროექტო ტერიტორია მოქცეულია ტერიტორიულ სტრუქტურული ზონის გეგმარებით კარკასის არეალში. ტერიტორიის მცირე მონაკვეთზე, ხვედელიძის ქუჩის მხარეს ვრცელდება ჯიხურების აკრძალვა (6კვმ-დე ნაგებობების განთავსების შეზღუდვა) საპროექტო მიწის ნაკვეთზე 2021 წლის 3 მაისის გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვებ ფუნქციაზე, კერძოდ დაფიქსირდა 60% საცხოვრებელი და 40% კომერციული. აღნიშნულის შემდგომ, 2021 წლის 23 ივლისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გაიცა #323 განკარგულება, რის საფუძველზეც საპროექტო მიწის ნაკვეთზე გადამეტდა კ2 კოეფიციენტი და დაფიქსირდა 5.0 . წინამდებარე განცხადებით მოგმართავთ თხოვნით შეიტანოთ ცვლილება სპეციალური ზონალური შეთანხმებაში და ნაცვლად 60% საცხოვრებელისა და 40% კომერციულისა დაგვიფიქსიროთ 90% საცხოვრებელი და 10 % კომერციული, აქვე გაცნობებთ, რომ მზად ვართ კანონმებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტს გადავცეთ 4% შეცვლილი ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად (როგორც ზონით განსაზღვრულ პარამეტრზე (3.5) ასევე მომატებული კოეფიციენტის (5.0) გათვალისწინებით).
პოზიცია :	
პროექტის აღწერა :	2022 წლის 15 იანვრის N 012201566-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N 15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.10.012.158) მრავალფუნქციური შენობის (90% საცხოვრებელი, 10% კომერციული) განთავსების მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილებასთან დაკავშირებით, სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიციას, გაცნობებთ: საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. ახალი საავტობუსე კვლევის ფარგლებში, მიმდებარე ტერიტორია, კერძოდ, შანდორ პეტეფის ქუჩა მოიაზრება ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფნად (კარგად შეკავშირებული, სწირი და მაღალი მოცულობის ქსელი). გარდა ამისა, შანდორ პეტეფის ქუჩა მომსახურებული იქნება მეორე (CITY) და მესამე (LOCAL) დონის საზოგადოებრივი ტრანსპორტით. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საზოგადოებრივი ტრანსპორტის უახლოესი გაჩერება 200 მეტრის ფარგლებშია. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების თაობაზე მერის ბრძანებაში ცვლილების განხორციელების წინააღმდეგი არ არის.

შექმნის თარიღი :	
თანამდებობა :	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო-უფროსის მოადგილე
ხელმომწერი :	ნინო ბაგაშვილი
ნომერი :	01220492387
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

დაინტერესებაში არსებული საკითხის ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, ქალაქი თბილისში, წულუკიძის ქუჩა N15-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.17.10.012.158 (ფართობი: 1175.0კვ.მ.)) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1), რომელიც, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის "რ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ-საქმიან ქვეზონას და მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.

იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის "რ" ქვეპუნქტის მიხედვით, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 1-ში (სსზ-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; დასაშვებია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები:

მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1=0,5 * / 0,7

მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2=3.5

მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3=0.2/0.3*

მინიმალური ფართობი 600/700* კვ.მ

მინიმალური სიგანე 15/20* მეტრი

მინიმალური სიღრმე 25/30* მეტრი

შენიშვნა * მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის.

დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე დასავლეთის მხარეს იჭრება ურბანული გამწვანება (შიდა კვარტალური). ტერიტორიაზე აღმოსავლეთით და დასავლეთით ესაზღვრება მისასვლელი სამანქანო გზა (ტზ-1). საპროექტო მიწის ნაკვეთს აქვს არაერთგვაროვანი რელიეფი, ნაკვეთის გარემო წარმოადგენს შერეული ფუნქციის და ინტენსივობის სივრცეს, სადაც გვხვდება როგორც მრავალფუნქციური, ასევე ინდივიდუალური საცხოვრებელი ფუნქციის შენობები.

საპროექტო ტერიტორიაზე გაედინება მიწისქვეშა სანიაღვრე ქსელი, აღნიშნულიდან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ეტაპზე საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს შპს თბილსერვის ჯგუფის N62-01210752052 (16.03.21.) წერილი.

განაცხადი პარალელურ რეჟიმში იქნა განხილული სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის მიერ და 2022 წლის 18 თებერვლის N01220492387 წერილით დაფიქსირდა დადებითი რეკომენდაცია.

ამავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით საპროექტო მიწის ნაკვეთზე

გადაწყვეტილების დასაბუთება :	ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების მიხედვით, ვრცელდება ქალაქის მატერიალური გარემოს ათვისების მაღალი ხარისხის გამოყოფილი სტრუქტურული ელემენტი - გეგმარებითი კარკასი (გკ); დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე: ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.158) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, როგორც მრავალფუნქციური კომპლექსის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილის არაუმეტეს შენობის საერთო ფართობის 60%-ის განთავსების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 4 მაისის Nბ01.01211243 ბრძანებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N323 განკარგულებით, ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.158) მიმართებაში შეთანხმდა ხელისშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხი, აღნიშნული განკარგულების პირველ პუნქტში დაფიქსირებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, N01.17.10.012.158 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს მიენიჭა ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდილი მაჩვენებელი კ-2=5.0; დაინტერესებაში არსებული განაცხადით, მოთხოვნაა საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარება განხორციელდეს მრავალფუნქციური შენობის შემადგენელი ფუნქციური დანიშნულების სახეობების შემდეგი პროცენტული თანაფარდობით: ნაცვლად 60% საცხოვრებელისა და 40% კომერციულის ფუნქციებისა, 90% საცხოვრებელი და 10% კომერციული ფუნქციებით, რის გამოც საკითხი განიხილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის Nბ01.01211243 (04.05.21.) ბრძანებაში ცვლილების განხორციელების ნომენკლატურით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებულ წესების, მუხლი 16^1-ის თანახმად: განაშენიანების რეგულირების გეგმისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების ფარგლებში, საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 1-სა (სსზ-1) (საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2)) საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტებისთვის მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში/ საპროექტო შენობა-ნაგებობაში არსებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. აღნიშნულით გათვალისწინებული საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ ერთეულების ფართობი განისაზღვროს აღნიშნული ფუნქციური ზონისათვის კანონმდებლობით დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის საანგარიშო ფართის 4%-ის ოდენობით (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით), არანაკლებ 50 კვ.მ.-სა; საცხოვრებელი ფუნქციის დასაშვები პროცენტულობის გადამეტების თაობაზე გაცემულ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაში საცხოვრებელი ფუნქციის პროცენტულობის ცვლილების თაობაზე მოთხოვნის წარდგენისას, ნამატი საცხოვრებელი ფუნქციის ოდენობად განიხილება სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დადგენილსა და მოთხოვნილ ფუნქციურ პროცენტულობას შორის არსებული სხვაობა; აღნიშნული დადგენილების მუხლი 16^2-ის თანახმად, იმ ობიექტებისთვის, სადაც გადამეტებულია კ-1 ან/და კ-2 კოეფიციენტების ზღვრული მაჩვენებლ(ებ)ი, მათ შორის, იმ ობიექტებზე, სადაც ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების გათვალისწინებით საცხოვრებელი ფუნქცია არ იყო დასაშვები, შესაძლებელია საცხოვრებელი ფუნქციის განვითარების მიზნით ფუნქციური დანიშნულების ცვლილება, ამ მუხლით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით. მაკომპენსირებელ ღონისძიებად განისაზღვროს საპროექტო არეალში საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემა ე.წ. თეთრ კარკასულ მდგომარეობაში ან გადასაცემი ოდენობის შესაბამისი ფასის გადახდით, რომელიც განისაზღვრება საბაზრო ღირებულების შესაბამისად, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე. საცხოვრებელი ბინა ერთეულის/ერთეულების ფართობი განისაზღვროს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტებით ნამატი ფართის 4%-ისა (დამრგვალდეს საპროექტო ობიექტის არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებული ერთეულების გეგმარების შესაბამისად არსებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით) და 16^1 მუხლით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი

	ღონისძიების ჯამური ოდენობის შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ 50 კვ.მ.-სა; მაკომპენსირებელი ღონისძიების გამოყენების თაობაზე განმცხადებლის მხრიდან N012201566-67 (15.01.22.) განაცხადით დაფიქსირებულია დადებითი პოზიცია, კერძოდ, კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობის ფართობის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის თაობაზე.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაზე გადაწყვეტილებას იღებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების/ადმინისტრაციული ორგანოების დასკვნის საფუძველზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით. ვინაიდან, საპროექტო წინადადებით გათვალისწინებული ცვლილება არ იქონიებს მკვეთრ ზეგავლენას აღნიშნულ გარემოზე, ამასთან, მოთხოვნილი ფუნქციის განვითარებაზე ერთხელ უკვე დაფიქსირებულ იქნა დადებითი პოზიცია, სააგენტოს დასაშვებად მიაჩნია ქალაქი თბილისი, ქუჩა წულუკიძე N15-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.10.012.158) მრავალფუნქციური შენობის შემადგენელი ფუნქციური დანიშნულების სახეობების პროცენტული თანაფარდობის: ნაცვლად 60% საცხოვრებელისა და 40% კომერციული ფუნქციებისა, 90% საცხოვრებელი და 10 % კომერციული ფუნქციებით ცვლილების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის Nბ01.01211243 (04.05.21.) ბრძანებით გაცემულ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებაში ცვლილების განხორციელება, განაშენიანების რეგულირების წესებით დადგენილი მაკომპენსირებელი ღონისძიებების გათვალისწინებით. ასევე, გათვალისწინებულ იქნეს:მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიაზე, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ამონაწერში დაფიქსირდეს ვალდებულება: შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ პერიოდში შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის დანიშნულების უცვლელად შენარჩუნების პირობით.

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული
შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 323

23 ივლისი
"---" -------- 2021 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს ,,პრაიმ ინვესტ ჯგუფის" (ს/ნ. 406291212) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა წულუკიძე №15 (ს/კ. №01.17.10.012.158) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. №16 (ყოფილი მარშალ გელოვანის გამზირი №1ა-1ბ, დიღმის მასივის II კვარტლის მიმდებარედ, (ნაკვ,25/29), (ს/კ. №01.10.10.025.029), კოსმონავტების ქ. №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს ,,პრაიმ ინვესტ ჯგუფის" (ს/ნ. 406291212) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა წულუკიძე №15 (ს/კ. №01.17.10.012.158) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 21 ივლისის №21.1002.1139 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/კ. 204460957) და შპს ,,პრაიმ ინვესტ ჯგუფის" (ს/ნ. 406291212) მიმართ, მისამართებზე - ქ. თბილისი, შარტავას ქ. №3 (ს/კ. №01.10.13.015.112), პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14, (ს/კ. №01.10.06.001.115), აკ.ბაქრაძის ქ. №16 (ს/კ. №01.10.10.025.029),

კოსმონავტების ქ. №45-47-49 (ს/კ. №01.13.05.004.173, №01.13.05.004.059, №01.13.05.004.142), ბოხუას ქ. №10, (ს/კ. №01.13.02.005.006) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ. თბილისი, ქუჩა წულუკიძე №15 (ს/კ. №01.17.10.012.158) არსებულ მიწის ნაკვეთთან მიმართებაში შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მოხდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება (კ-2) 5.0 -მდე;

ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული შენობების სიმაღლის განმსაზღვრელი მოთხოვნები;

გ) შპს ,,პრაიმ ინვესტ ჯგუფმა“ (ს/ნ. 406291212) შპს ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით თანხის 103 736 (ას სამი ათას შვიდას ოცდათექვსმეტი) - აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში - გადარიცხვა განახორციელოს გადარიცხვის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“ (ს/ნ. 204460957), შპს ,,მარიჯანი (ს/კ. 205064712), შპს „გეითვეი ჰოლდინგი“ (ს/კ. 204531499), შპს „დაკიდებული ბაღები“ (ს/კ. 212272869), შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთს“ (ს/კ. 204514926), ამხანაგობა „ახალი დიღომი“ (ს/კ. 202389156), ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“-ს და შპს „სიემსი“-ს (ს/ნ. 205292486) შორის 2020 წლის 16 დეკემბერს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით (მასში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილებით) განსაზღვრული წესების და პირობების შესაბამისად;

დ) შპს ,,პრაიმ ინვესტ ჯგუფმა“ (ს/ნ. 406291212) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა, ამავე პუნქტში მითითებული მემორანდუმით გათვალისწინებული მიზნით შექმნილ სპეციალურ მიზნობრივ ანგარიშზე განახორციელოს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე. ამასთან, თანხის გადახდის ვადა არ უნდა ცდებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან არაუგვიანეს 6 თვის ვადას;

ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64)კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**